საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011803724822221

საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს ქ. №2 ; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

02 / მარტი / 2021 წ. № 01/37990

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -
სოციალური მომსახურების სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) იურიდიული სამსახურის წარმოებაშია გიორგი ჯოხაძის წარმომადგენლის, ლეილა გურგუჩიანის, 2021 წლის 12 თებერვლის № 18619, № 18632 და № 18625 ადმინისტრაციული საჩივრები ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2020 წლის 30 ნოემბრის №2020-34001-00091 და №2020-34001-00092 და 2021 წლის 15 იანვრის № 2021-34001-00001 დადგენილებების გაუქმებისა და გიორგი ჯოხაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ. დადგენილებების საფუძველზე, გიორგი ჯოხაძეს თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა 500 (ხუთასი) ლარი, გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების სააგენტოში კანონით განსაზღვრული 5-დღიანი ვადის გადაცილებით გაგზავნის გამო.

გიორგი ჯოხაძის მითითებით იგი არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე ფიზიკური პირი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ - **2020 წლის 5 სექტემბრიდან ამავე წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდში**, იყო თუ არა **გიორგი ჯოხაძე (პირადი № 04001006524)** „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, „სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 24 აგვისტოს ერთობლივი № 01-37/ნ– № 173 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის შევსებასა და გადაგზავნაზე უფლებამოსილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილების გათვალისწინებით „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის მიმწოდებელი/სააგენტოს მიერ დაკონტრაქტებული ფიზიკურ პირი.

ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქმისწარმოებისა და სამართლებრივი
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯიჯეიშვილი